

## რესპონსიული სამეტყველო აქტის ფუნქციონირების მახასიათებლების მნიშვნელობა კულტურათაშორისო კომუნიკაციაში

ლეილა ხარდინა<sup>1</sup>; ნინო ფუტკარაძე<sup>2</sup>; ნანული ჭარბაძე<sup>3</sup>

<sup>1</sup>ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო E-mail: [L.khardina@bsma.edu.ge](mailto:L.khardina@bsma.edu.ge)

<sup>2</sup>ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო E-mail: [n.putkaradze@bsma.edu.ge](mailto:n.putkaradze@bsma.edu.ge)

<sup>3</sup>ლექტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო, E-mail: [n.charbadze@bsma.edu.ge](mailto:n.charbadze@bsma.edu.ge)

### აბსტრაქტი

თანამედროვე რეალობა ქმნის მრავალფეროვან კომუნიკაციურ სიტუაციას. დღესდღეობით დიალოგი კვლავ რჩება კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ფორმად. არსებობს ინტერკულტურული დიალოგის შესაძლებლობა, რომლის სპეციფიკა გვეკარნახობს ურთიერთგაგების უზრუნველსაყოფად ოპტიმალური სამეტყველო-ქცევითი სტრატეგიების პოვნის აუცილებლობას.

შესაბამისი კითხვითი ფორმა გარკვეულ სტრატეგიას ითვალისწინებს, და მისი მიზანია ადრესატისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ადრესატისთვის მნიშვნელოვანია პასუხის ფორმა. პასუხი არის ერთგვარი კოდი, რომლის გაშიფვრა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს.

პასუხის გაგების ხარისხზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამეტყველო-ქცევის სტრატეგიამ და დიალოგის ტაქტიკამ, რომელიც თან ახლავს კონკრეტულ კულტურას. დიალოგის ტაქტიკის გააზრება დისკურსის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისთვის და გულისხმობს, პირველ რიგში, ამ ფენომენის ბუნების გააზრებას.

კითხვა-პასუხის სტრუქტურების განხილვა, როგორც დიალოგური ერთობების ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმა და დიალოგური ერთობების ფარგლებში კითხვისა და საპასუხო სამეტყველო აქტების ურთიერთქმედების შესწავლამ აჩვენა, რომ მათ გააჩნია პრაგმატული მნიშვნელობის ფართო სპექტრი.

სტატიაში რესპონსიული სამეტყველო აქტების პრაგმატული მნიშვნელობები გაანალიზებულია ემპირიული მასალის საფუძველზე (ჯ.ჯოისისა და უილიამ ტენესის მოთხრობების თარგმანი). საერთო ფონი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კარნახობს

თარგმანის სტრატეგიას დიალოგური კითხვა-პასუხის ერთობების ინტერპრეტაციისას, ძალზე მნიშვნელოვანია თარგმანის პროცესში.

კონკრეტულ ემპირიულ მასალის ინტერპრეტაციას ვაკეთებთ ძირითადად სამი სამეტყველო ტაქტიკის ფარგლებში : ა) თანაგრძნობა ბ) არასიმპათია გ) გულგრილობა.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურათაშორისი დიალოგი, გაგება, თარგმანი, რესპონსიული სამეტყველო აქტები.

### **JEL კლასიფიკაცია:**

### **შესავალი**

მთარგმნელობითი სფეროს უახლესი კვლევები ფოკუსირებულია თარგმანის, როგორც დედნის ინტერპრეტაციის პროცესისა და შედეგის გაგებაზე. ინფორმაციის გაგება დამოკიდებულია ინტერპრეტაციის შედეგზე, რომელიც ერთ შემთხვევაში ეხება ინდივიდუალურ ადრესატს, მეორეში კი გულისხმობს ავტორის პასუხისმგებლობის გააზრებას დიდი აუდიტორიის წინაშე. დიალოგური მეტყველების გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისთვის და მოიცავს პირველ რიგში, ამ ფენომენის ბუნების გაგებას. ნაშრომში განიხილება დიალოგური მეტყველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, კითხვა-პასუხის სტრუქტურები, შევეცდებით მათ ინტერპრეტაციას ემპირიული მასალის საფუძველზე.

რესპონსიული სამეტყველო აქტების შესწავლამ დიალოგებში გვიჩვენა, რომ რესპონსიულ მეტყველებას აქვს პრაგმატული მნიშვნელობის ფართო სპექტრი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თარგმანის პროცესის განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ფონს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კარნახობს თარგმანის სტრატეგიას დიალოგურ სამეტყველო კითხვა-პასუხის ერთეულებს ინტერპრეტაციის დროს.

კონკრეტულ ემპირიულ მასალის ინტერპრეტაციას ვაკეთებთ ძირითადად სამი სამეტყველო ტაქტიკის ფარგლებში : ა) თანაგრძნობა ბ) არასიმპათია გ) გულგრილობა.

### **მეთოდოლოგია**

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სამეტყველო აქტების თეორიული პოსტულატები. ნაშრომში გამოყენებული კომპლექსური მეთოდოლოგია მოიცავს: კონცეპტუალურ მოდელირების მეთოდს, ტიპოლოგიურ-შედარებით კვლევის მეთოდს და ინტერლინგვურ ეკვივალენტობის დადგენის მეთოდს.

სტატიაში განხილულია სამეტყველო ქცევის ტაქტიკის პრობლემა, რომელიც წარმოდგენილია რესპონსიული მეტყველების აქტებით კონკრეტულ ტექსტებში, მოცემულია კონკრეტული სირთულეების ანალიზი, მათი ინგლისური ენიდან თარგმანის პროცესში წარმოქმნილი სპეციფიკური სირთულეების ანალიზი და შემოთავაზებულია რესპონსიული მეტყველების აქტებთან დაკავშირებული კონკრეტული თარგმანის პრობლემების გადაჭრის მეთოდი.

განხილულია ინფორმაციის განსაკუთრებული და მიზანმიმართული დამახინჯების შემთხვევები, ფსევდოტაქტიკა (ირონია, ბულინგი, დეზინფორმაცია), იგნორირება, მაგრამ,

ყველა ამ შემთხვევის ინტერპრეტაცია შესაძლებელია მითითებული კონკრეტული ტაქტიკის ფარგლებში. ასე, მაგალითად, ირონია, დაცინვა, დეზინფორმაცია, დუმილი შეიძლება ჩაითვალოს არასიმპათიის განსაკუთრებულ შემთხვევებად, და იგნორირება, როგორც გულგრილობის ტაქტიკა, თუმცა ეს უკანასკნელი ასევე შეიძლება ჩაითვალოს, როგორც არასიმპათიის ნულოვანი ვარიანტი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ურთიერთობის ტაქტიკა თავისთავად უნივერსალურია, თუმცა (ნიუანსების დონეზე) ავლენს ეროვნულ-სპეციფიკურ თავისებურებას კონკრეტულ კულტურებში. ამ გარემოებას კი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს თარგმანის პრაქტიკაში. ურთიერთობის ტაქტიკა კარნახობს რესპონსიულ ხასიათს და განსაზღვრავს მის ტიპს.

დიალოგის პირველი და აუცილებელი პირობა არის კონტაქტი, პირველ რიგში განვიხილოთ ის სირთულეები, რომლებიც წარმოიქმნება დიალოგური ურთიერთქმედების დამყარების მცდელობებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში შევხებით „არასიმპათიის და უგულბებლყოფის“ ტაქტიკას. ეს ტაქტიკა შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად, უფრო მეტიც, არასიმპათიის დამოკიდებულების ბუნება ასევე შეიძლება გამოიხატოს ურთიერთობითი რეაქციების ფართო სპექტრში, დაწყებული მარტივი უარით და დამთავრებული სრული მტრობისა და აგრესიული ქცევის ღია გამოხატვით.

არასიმპათიის დამოკიდებულების არავერბალური რეაქცია შეიძლება იყოს დუმილი, შესაბამისი ჟესტი, აგრესიული ქცევა და ა.შ. ხოლო მიზეზი არის კითხვის დასმის არაკორექტულობა ან პროვოკაციული ხასიათი, პასუხის იგნორირება, ცუდი განწყობა, ადრესატის ან კომუნიკაციის ფორმის უარყოფა, ენის უცოდინრობა და ა.შ.

მოვიყვანოთ რამდენიმე საინტერესო მაგალითს. არავერბალურ რეაქციაზე საინტერესო კომენტარს იძლევა ჯ.ჯოისი: “I crammed my mouth with stir about for fear I might give utterance to my anger” (ჯოისი 2003:12). ფაქტობრივად, მოთხრობის გმირი, პატარა ბიჭი, თრგუნავს თავის „პასუხს“, გადააქვს თავისი არასიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულება შინაგანად.

მოვიყვანოთ არავერბალური პასუხის მაგალითს ჯოისის მოთხრობიდან "დები", "The sisters": “Wasn't that good of him?”

Elisa closed her eyes and shook her head slowly” (ჯოისი 2003:15).

ნულოვანი საპასუხო რეაქცია შეიძლება აღინიშნოს შემდეგ მაგალითში: „ I was going to reply indignantly, but I remained silent.”( ჯოისი 2003:14).

პასუხი ასევე შეიძლება იყოს წარმოდგენილი ქმედებით. ასე, მაგალითად, მოთხრობის “Two gallants”- ის გმირი , კორლი თვლის, რომ დასმულ კითხვაზე უფრო ეფექტური პასუხი იქნება შესაბამისი ქმედება – ხელის გულზე ოქროს მონეტის დემონსტრირება. “Can't you tell us? Did you try her? Then with a grave gesture he extended a hand towards disciple. A small gold coin shone in his palm” (ჯოისი 2003:57).

რაც შეეხება არასიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულების ვერბალურ მხარეს, ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა შემთხვევაში, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული ან საერთოდ არ იყოს დაკავშირებული ეტიკეტის გათვალისწინებასთან.

ზემოთ ჩვენ არაერთხელ ხაზგასმით აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ადრესატის ურთიერთობა ადრესატთან, თავად ინფორმაციის ბუნება ან კომუნიკაციის ეტიკეტის

ნორმების დაცვა ასტიმულირებს პასუხის გაცემის სპეციფიკას. ნეგატიური დამოკიდებულება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან მათი კომბინაციის მიმართ შეიძლება გამოიხატოს პირდაპირ ან ფარულად. გარკვეულწილად სასტიკი განსჯის "პასუხი" გამოიხატება „Vee“-ის ფრაზაში “Orpheus descending” ნაწარმოებში. “And you behaved yourself better your father would not be paralyzed in bed.” (Williams 2007:37). ფაქტობრივად, ასეთი ფრაზა უდრის სასჯელს, რომლის მიხედვითაც კეროლს მძიმე მორალურ დანაშაულში ედება ბრალი. არასიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი აგრესიის სახით:

“I want you out of this door like a shot from a pistol-that fast!” – Understand? (Williams “Orpheus descending” 2007:203); აკრძალვა: “Don’t ever come here again “You don’t seem to have any shame”; დაგმობა “Of course it’s not a good behavior; “That’s no excuse for it”.

ზოგიერთ შემთხვევაში, ირონია არასიმპათიის გამოხატვის ეფექტური საშუალებაა. ასე, მაგალითად, ირონიულად პროვინციული ქორების შესახებ გვხვდება მაგალითი : “Go on, ladies, don’t stop, my ears are burning” (Williams 2007: 189).

არასიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულება შეიძლება შეგვხდეს კითხვაზე პასუხებში, როგორც თავაზიანი ფორმით, ასევე პირდაპირი შეურაცხყოფის სახით. გარკვეული მიზეზების გამო, ციტირებულ ავტორთა ნამუშევრებში ჩვენ ვერ ვიპოვნეთ პირდაპირი ლანძღვის არაკოდიფიცირებული ფრაზეოლოგია, რომელიც ძალიან პოპულარულია სასაუბრო მეტყველებაში და განსაკუთრებით თანამედროვე ფილმებში. გარკვეული მიზეზების გამო თავს შევიკავებთ უხამსი სიტყვების ციტირებისგან, რაც საჭიროების შემთხვევაში დიდი სირთულის გარეშე შეიძლება მოიძებნოს. მოვიყვანთ მაგალითს საპასუხო რეაგირების ღია მტრობის შემთხვევებზე, რომელიც ხშირად გამოიყენება ცოცხალ დისკურსში: “I’ll have you burned!”; What in hell are we waiting for?”

ზოგიერთ შემთხვევაში, არასიმპათიის დამოკიდებულების გამოხატვა შეიძლება დაფარული იყოს თავაზიანობის გამოხატვის ფორმით. ასე, მაგალითად, ირონია, რომელიც შეიცავს გარეგნულად საკმაოდ "თავაზიანობის გამოხატვის" ფრაზას “I am glad you reminded me of it”, გამოხატულია მხოლოდ ინტონაციით და შეიძლება სრულიად გაუგებარი იყოს როგორც მესამე პირისთვის, ასევე თავად ადრესატისთვის. არასიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულება გვხვდება შემდეგ პასუხის გაცემის მაგალითებშიც: “ Excuse me, I’ll have to go up “, “ Excuse me, I don’t have time”. ასეთ შემთხვევებში არასიმპათიის დამოკიდებულების გამოხატვა შეიძლება დაფარული იყოს თავაზიანობის გამოხატვის ფორმით “excuse me”. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ინტონაციით, თავაზიანობის გამოხატვის ფორმას შეუძლია საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინოს. ამბივალენტური მნიშვნელობების საპასუხო კომბინაცია, რომელიც გამოხატავს, ერთი მხრივ, თანამოსაუბრის პატივისცემას და, მეორე მხრივ, არასიმპათიის დამოკიდებულებას, შეიძლება იქონიოს დიდი სტილისტური ეფექტი.

განსაკუთრებული სტილისტური ხერხი, რომელიც საშუალებას გვამძლევს პირდაპირ არ გამოვხატოთ საკუთარი არასიმპათიის დამოკიდებულება, არის დიალოგი, რომელშიც გამოიხატება ეს დამოკიდებულება ხელახლა კითხვის დასმით, საკუთარ კითხვაზე პასუხის გაცემით, საუბრის თემის შეცვლით და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში გულგრილობაც რეალურად ერთგვარი ნეგატიური დამოკიდებულებაა. მაგალითად, როდესაც კითხვა შეიცავს მოთხოვნას, ნეიტრალური

დამოკიდებულება შეიძლება იყოს თავაზიანი ფორმის დარღვევა. პასუხები, რომლებიც ასახავს ინდიფერენტულ დამოკიდებულებას კითხვაზე ან თავად ადრესატის მიმართ, დამახასიათებელია ინგლისური ენისთვის და ილუსტრირებულია შემდეგ მაგალითებში:

- -Can you hear what those women are saying about me?
- Play it cool!
- -Don't you want them to know you are alive?
- I want to live and don't care if they know I am alive or not.
- -What?
- What people say about you doesn't mean much?
- What thing?
- I am not interested in your perfect functions, in fact you don't interested me no more than the air that you stand in" (Williams 2007: 156,178,290).

როგორც ვხედავთ, „გულგრილობა“, რომელიც გვხდება რესპონსიული ფორმით, გამოიხატება სხვადასხვანაირად, ეხება როგორც თავად ინფორმაციას ასევე ადრესატს ( that doesn't interest me; neither fish nor fowl; I am not concerned). რესპონდენტებს შეუძლიათ ერთმანეთის მიმართ თავიანთი „კეთილგანწყობის“ დემონსტრირება როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად პასუხის გაცემის ფაქტი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ურთიერთობის გარკვეულ ფორმას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვის დასმის ფორმა ყოველთვის არ არის ცალსახად დაკავშირებული ადრესატის სურვილთან, მიიღოს ინფორმაცია. ის ხშირად შეიცავს უამრავ განსხვავებულ მიზანმიმართულ მნიშვნელობას (თხოვნა, მუქარა, შეთავაზება, აკრძალვა, შეურაცხყოფა, ირონია და ა.შ.). ბუნებრივია, რესპონსიული მნიშვნელობები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა მიზანმიმართულ ფაქტორებთან, დამოკიდებულია კითხვითი ნაწილის მნიშვნელობებზე, ამიტომ „თანაგრძნობის დამოკიდებულების“ კონცეფციას ამ შემთხვევაში აქვს გარკვეული სპეციფიკა. იმ შემთხვევებში, როდესაც კითხვის დასმა ხდება მისი კლასიკური მნიშვნელობით (რომელიც მიმართულია ინფორმაციის მოპოვებაზე), სიმპათიის დამოკიდებულების გამოხატვა უნდა ჩაითვალოს ადეკვატურ პასუხად სწორი მეტყველების ქცევაზე, ე.ი. პასუხის სიმეტრია რა თქმა უნდა, თანაგრძნობისა და სიმპათიის გამოხატვის დამოკიდებულება არ ჩაითვლება ადეკვატურად ისეთ რესპონსიულ ფორმებში, სადაც იგრძნობა (ადამიანის გაბრაზების სურვილი, დისკრედიტაციის სურვილი, შეურაცხყოფა, დამცირება და ა.შ.). ძნელი არ არის ვივარაუდოთ, რომ სიმპათიის დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება ისეთ რესპონსიულ ფორმებში, რომლებიც შეიცავს „შეთანხმების“ მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი თავის სემანტიკურ სტრუქტურაში შეიცავს რამდენიმე მიკროსქემას: ა) დადებითი პასუხი ნებართვის თხოვაზე, ბ) თანამოსაუბრეთა შეხედულებების გათვალისწინება, გ) შეთანხმება, ურთიერთშეთანხმება. სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ფენომენი შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა ინფორმაციის კომპონენტს. შესაძლებელია

დაეთანხმო მოსაზრებას, ან მიიღო თანხმობა ქმედების საპასუხოდ, ან თანხმობა ნებართვის მოთხოვნაზე. თანხმობის რეპლიკები არის განსაზღვრული კომუნიკაციური შინაარსით და ინტერაქტიული აქტივობით.

კონკრეტული მასალის ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგვევლინა შეთანხმების სხვადასხვა სემანტიკური ინვარიანტები: თანხმობა-მოწონება, თანხმობა-დადასტურება, თანხმობა-ნებართვა, თანხმობა-დაპირება, ნაწილობრივი თანხმობა, თანხმობა-დათმობა, თანხმობა-შერიგება, თანხმობა-პირობა, თანხმობა-თავის არიდება და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიდასტურებს ამ ფორმებს: თანხმობა-დადასტურება. კითხვითი კონსტრუქციით ხდება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება «Bought her», პიესის «Orpheus descending»-ის გმირი დოლი ჰამა პასუხობს: «-Yes, he bought her and bought her cheap because she'd been thrown over and her heart was broken by that caterer boy» (Williams 2007:76).

თანხმობა-მუქარა «You are going to shoot me?

-you'd better believe it if you don't get out of here, mister!» (Williams 2007:184).

თანხმობა-ნებართვა “-Mind if I leave this here? My life's companion? –

-leave it here if you want to” (Williams 2007:86)

თანხმობა-მოწონება “ You mean I am not fired, so don't have to quit?

-I am pleased with you, sincerely?” (Williams 2007-184).

თანხმობა-აღიარება-You remember the wine garden of my father? No, you don't? You don't remember it even? -Lady, I don't remember anything else” (Williams 2007-273).

თანხმობა-პირობა, რომელიც შეიცავს თხოვნას:-“go, did you say? -Yes, ma'am, I did, I said go. All that stays to be settled is a little matter wage (Williams 2007-146).

როგორც ხედავთ, სიმპათიის დამოკიდებულების გამოხატვის ვარიანტები ძალიან მრავალფეროვანია და მოიცავს მნიშვნელობების საკმაოდ ფართო სპექტრს.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რომელიც წარმოიქმნება კითხვა-პასუხის დიალოგურ სტრუქტურაში, მით უმეტეს, რომ კითხვითი კონსტრუქციების ირიბი ინტერპრეტაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ აღემატება ირიბი გამოყენების რაოდენობას, ხოლო კომუნიკაციის გარკვეულ ჟანრებში (მაგალითად, ჟურნალისტიკაში და მხატვრულ მეტყველებაში) მნიშვნელოვნად ნაკლებია. განსაკუთრებით საინტერესოა კითხვითი ფორმისა და განზრახვის სიმეტრია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც კითხვა ჩნდება თავისი ოქტოლოგიური მნიშვნელობით და არ არის დატვირთული ირიბი კონოტაციებით. ინგლისურ ენაზე სხვადასხვა კითხვითი ფორმის ანალიზი შესაბამის თარგმანებთან შედარების გამოყენებით საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად აღვიქვათ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის სპეციფიკა.

### კვლევის შედეგები

სტატიაში განხილულია თანამედროვე სამეტყველო აქტების ერთ-ერთი საინტერესო პრობლემა, კერძოდ, გაანალიზებულია რესპონსიული აქტები, მათი ძირითადი ტიპები და რესპონსივების ფუნქციონირების თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ დისკურსში. ნაშრომში წარმოადგენილია რესპონსიული სამეტყველო აქტების სისტემატური ანალიზის

პირველი მცდელობა. რომლის არსებობა მხოლოდ ლინგვისტურ მეცნიერებაში დასტურდება და შეიძლება იყოს თეორიული მოდელი რომელიმე კონკრეტულ კვლევაში, რომლიც შეეხება სამეტყველო აქტებს, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკაში, შედარებითი გრამატიკის კურსში, ასევე სპეციალური დანიშნულების კურსებსა და შესაბამის სემინარებზე.

### დასკვნები

წინამდებარე კვლევის მიზანია გავანალიზოთ რესპონსიული სამეტყველო აქტები, მათი ძირითადი ტიპები და ასევე მათი ფუნქციონირების თავისებურებები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

- ძირითადი მიზანია მივიღოთ სიტყვიერი პასუხი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ადრესატის პასუხის სხვადასხვა ტაქტიკაში. ა) ადრესატის ვინაობა; ბ) მიმართვის ფორმა გ) ინფორმაცია  
ჩვენ განვიხილავთ ე.წ. „პირდაპირი პასუხებს“ და ირიბ რეაქციებს, მიმართვის ფორმას, ადრესატისადმი დამოკიდებულებას
- პასუხის გაცემის სპეციფიკა განისაზღვრება კომუნიკაციით, და საპასუხო ტაქტიკით: ა) თანაგრძნობა ბ) არასიმპათია გ) გულგრილობა/იგნორირება
- დიალოგურ სამეტყველო აქტში კავშირის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს როგორც თავად შეკითხვის შინაარსით, ასევე მიმართვის ფორმით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Богданов 1986: Богданов В.В Молчание как нулевой речевой акт и его роль в вербальной коммуникации// Языковое общение и его единицы. Калинин
- Голубев 1999: Голубев С.А Семантика и прагматика показателей безразличия: сопоставительный анализ АКД. Краснодар
- Демьянков 1986: Демьянков В.З Теория речевых актов в контексте современной зарубежной лингвистической литературы. Вып. XVII Теория речевых актов. М
- Кларк 1986: Кларк Г.Г ., Карлсон Т.Б Слушающие и речевой акт. НЛЗ. Вып. XVII. М
- Williams ..., 2007 : Williams Tennessee “ Orpheus Descending” Penguin Books
- Joyce ...2003 : James Joyce сборник «Дублинцы», “ The Sisters” , “Two Gallants”
- Романов, А.А. Иллокутивные знания, иллокутивные действия и иллокутивная структура диалогического текста // Электронный научный журнал «Мир лингвистики и коммуникации» [Электронный ресурс]. – 2006. Режим доступа:  
[http://tverlingua.ru/archive/002/02\\_1\\_02.htm](http://tverlingua.ru/archive/002/02_1_02.htm)

- Романов, А.А. Коммуникативная инициатива говорящего в диалоге / А.А. Романов // Электронный научный журнал «Мир лингвистики и коммуникации» [Электронный ресурс]. – 2009. – № 1 (14). – Режим доступа: [http://tverlingua.ru/archive/014/1\\_romanov.pdf](http://tverlingua.ru/archive/014/1_romanov.pdf)
- Carey J.W. Communication as Culture. Boston, 1989

## On Importance of Responsive Speech Acts Functioning Features in Intercultural Communication

### Abstract:

Modern reality creates a wide variety of communicative situations. Nowadays dialogue still remains one of the most active forms of communication. There is an opportunity for intercultural dialogue, the specificity of which dictates the necessity to find optimal speech-behavioral strategies to ensure mutual understanding.

The question's intention assumes a certain strategy, a kind of target program and has the task to lead the interlocutor to give the information necessary to the addresser. The nature of the response is of great importance for the addresser. The answer is a kind of code, the decryption of which requires some efforts.

The degree of understanding of a response can be influenced by the speech-behavioral strategy and tactics of dialogue inherent in a particular culture.

Comprehension of the dialogical unities' behavior in the structure of discourse is of great importance for the translation theory and practice, and presupposes, first of all, comprehension of this phenomenon nature. Considering question-answer structures as one of the particular varieties of dialogic unity and the study of the interaction of erotic(question) and responsive speech acts within a dialogic unity, has shown that the latest have a wide range of pragmatic meanings.

Pragmatic meanings of responsive speech acts in our article are analyzed on the basis of empirical material (translation of the stories of J. Joyce and William Tennessee).

The cooperative background, which in most cases dictates the translation strategy when interpreting the dialogic question-answer unities, is of great importance for the translation process.

We interpret concrete empirical material mainly within the framework of three cooperative tactics: a) sympathy b) non-sympathy c) indifference.

**Keywords:** intercultural dialogue, comprehension, translation, responsive speech acts.